

#8, სექტემბერი, 2008

### იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

#### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

#### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)

ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ  
გამოცემას ამზადებს

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი  
ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

### სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



#### ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო აქცია

ავვისტოს მოვლენების შედეგად დაობლებული დევნილი  
ბავშვების დასახმარებლად

ფონდმა „იავნანამ“ და „თიბისი ფონდმა“

25 სექტემბერს, სპორტის სასახლეში გამართეს

საქველმოქმედო აქცია. მსოფლიოში აღიარებულმა საოპერო  
მომღერლებმა – ლუჩიანა დინტინომ, რამონ ვარგასიმ და  
ოლგა რომანკომ პაატა ბურჭულაძესთან ერთად შეასრულეს  
ვერდის რეჟიემი, რომლის ფინალური ნაწილი ათასობით  
ანთებული სანთლის ფონზე შესრულდა.

### „ბილიკის“ ბილიკები

აგვისტოს მოვლენებმა შიდა ქართლში მცხოვრები ბევრი ადამიანი დევნილად აქცია. ისინი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს აფარებენ თავს. მათი ნაწილი გორში, კარვების ქალაქში, ნაწილი კომპაქტურად ჩასახლებულ სხვა ადგილებში ან ახლობლის ოჯახებში ცხოვრობენ. ომმა უამრავი ტკივილი და პრობლემა წარმოშვა. ყველაზე რთულ მდგომარეობაში ბავშვები აღმოჩნდნენ, ბავშვები რომელთა ნაწილმა საკუთარი თვალით ნახა საომარი მოქმედებები, რომელთა ნაწილი ახლობლების გარეშე დარჩა, ნაწილს კი – მშობლიური სახლი აღარ ეგულება. კარვების ქალაქში ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში დაეხმარონ დევნილებს, ამავე დროს მათ ფსიქო-სოციალურ

კიდევ ერთ პროექტს, რომელიც კარვების ქალაქში ჰიგიენისა და სანიტარულ საკითხებში საგანმანათლებლო მუშაობას ითვალისწინებს (Save the Children/USAID).

არასამთავრობო ორგანიზაცია „ბილიკი“ 1997 წელს, შიდა



ქართლში, გორში დაფუძნდა და ბავშვების პრობლემატიკაზე მუშაობს. ორგანიზაციას აქვს ორი დღის ცენტრი – „ბილიკი“ და „სხივი“, რომელიც 80 ბავშვს

ემსახურება (გორში მცხოვრები ღარიბი ოჯახის შვილები, მათ შორის ქუჩაში მყოფი ბავშვები) და საინტეგრაციო კომპონენტი (ბავშვთა კლუბები), სადაც დღის ცენტრების ბავშვებთან ერთად ჩართულია გორის სხვადასხვა სკოლის 50-მდე მოსწავლე. ამას გარდა ორგანიზაციაში რამდენიმე პროგრამა და სამსახური მუშაობას: ფსიქოლოგიური სამსახური, რომელიც საჭირუბოს შემთხვევაში ეხმარება ბავშვებს და მათ მშობლებს ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, სამედიცინო სამსახური – ეხმარება ბავშვებსა და მათ მშობლებს სამედიცინო გამოკვლევებსა და შესაბამისი საგანმანათლებლო მუშაობას ატარებს, ორგანიზაციაში ფუნქციონირებს ტრენინგ ცენტრები ბავშვებისთვის და მათი მშობლებისთვის. ბავშვები იღებენ ინფორმაციას ბავშვთა უფლებების შესახებ, მოხალისეობის, პრაქტიკული სამართლისა და სხვადასხვა საკითხებში. ბავშვებისთვის მუშაობს საგანმანათლებლო და შემოქმედებითი სტუდიები, ფუნქციონირებს ბავშვთა კლუბები (სადისკუსიო, ლიდერთა, ბავშვთა უფლებების). საგანმანათლებლო სტუდიაში მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობს – სასკოლო საგნების ათვისების ხელშეწყობისა და საჭიროების შემთხვევაში წერა-კითხვის შესწავლის მიმართულებით. ბენეფიციარებს ასევე აქვთ საშუალება პროფესიული უნარების შემსწავლელ სტუდიაში შეისწავლონ ხის მხატვრული დამუშავება, უცხო ენები, კომპიუტერთან მუშაობა, ასევე გახსნილია ჟურნალისტიკის ჯგუფი და სატელევიზიო სტუდია.



რეაბილიტაციას უწევენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „ბილიკი“ პარტნიორ ორგანიზაციებთან – „ბავშვი და გარემო“, „ქალთა ფონდი საქართველოში“ – ერთად მუშაობს რამდენიმე მიმართულებით. „დაცული კუთხე –


ბავშვებისთვის“ (Save the Children/USAID). – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც გორის სამ უბანში, ასევე მობილური ჯგუფების მეშვეობით გორის რაიონის ორ სოფელში (ხიდისთავი, ატენი) ხორციელდება. ეწყობა ადგილები, სადაც ბავშვები თამაშობენ, ხატავენ, აწყობენ დისკუსიებს, ანუ ყურადღება გადააქვთ ყოფითი პრობლემებიდან. ამ მიზნით მომზადდა 15 მოხალისე, მთლიანობაში პროექტში მონაწილეობს 100 ბავშვი. მეორე პროექტი სახელწოდებით „დავებმართ ომის შედეგად დაზარალებულ ბავშვებს“ („ქალთა ფონდი საქართველოში“) მოიცავს ომის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვებისთვის როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე არაფორმალურ საგანმანათლებლო დახმარებას. პროექტის ფარგლებში მონაწილე ბავშვებს, რომელთა ნაწილი კარვების ქალაქში ცხოვრობს. ნაწილი კომპაქტურად ჩასახლებულ ადგილებში (სულ 25 ბავშვი), გადაეცემათ სათამაშოები და სასკოლო ნივთები. ორგანიზაცია „ბილიკი“ ახორციელებს

### პარაოლიმპიური თამაშები პეკინში

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დასრულებისთანავე პეკინში, 6–დან 17 სექტემბრის ჩათვლით, გაიმართა პარაოლიმპიური ზაფხულის თამაშები. სპორტის 21 სახეობაში მონაწილეობას იღებდა 148 ქვეყნის 4200 სპორტსმენი. მათ 30 ათასი მოხალისე ეხმარებოდა.



პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, საქართველოს სახელით თამაშებში მონაწილეობას იღებდა იაგო გორგოძე. იგი პარაოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობაში – წოლჭიმში (დაწოლილ მდგომარეობაში შტანგის აწევა) ასპარეზობდა. ქართველმა სპორტსმენმა მერვე ადგილი დაიკავა. როგორც უკვე ავლნიშნეთ, ქართული სპორტის



ისტორიაში იაგო გორგოძე პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელმაც მონაწილეობის ლიცენზია გერმანიაში მოიპოვა და იასპარეზა პარაოლიმპიურ თამაშებში. ბოლო ორი წლის განმავლობაში სპორტსმენმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში.

პარაოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის დავით მაისურაძის თქმით, სპორტის დეპარტამენტმა ქართველ სპორტსმენს ფინანსური თანადგომა გაუწია. საქართველოში საინვალიდო სპორტის განვითარების ხელშეწყობის ორგანიზაცია 1991 წელს დაარსდა, თუმცა როგორც დავით მაისურაძე ამბობს, საერთაშორისო პარაოლიმპიურ კომიტეტში გაწევრიანების შემდეგ ორგანიზაციამ სახელი შეიცვალა და 1996 წლიდან მას საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტი ეწოდა. 90-იან წლებში, როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი აცხადებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სპორტსმენები სხვადასხვა ჩემპიონატებში, მართაონებში იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა 2000 წლის შემდეგ კომიტეტი ფინანსურ პრობლემებს განიცდის და რომ არა სპორტის დეპარტამენტი პარაოლიმპიურ ზაფხულის თამაშებში ქართველი სპორტსმენი მონაწილეობას ვერ მიიღებდა. დავით მაისურაძეს იმედი აქვს, რომ მომავალი ოლიმპიადისთვის ფინანსების მოძიებაც მოხერხდება და სპორტსმენები უფრო ბევრ სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას, წინასწარი შეთანხმებით საქართველოს სპორტული ფედერაციების ნაწილი მზადყოფნას გამოთქვამს პარაოლიმპიელების მომზადებისთვის.

- 

**საკონკურსო განაცხადი**

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ორეტაპიან ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის 2008 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმპ-თა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამის შშმპ-თა დღის ცენტრის ტიპის სპეციალიზებული დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ინფორმაცია იხილეთ**  
 გაზეთი „24 საათი“, 15 სექტემბერი, 2008 წლის ან  
<http://www.civilin.org/welfare>

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში მუშაობს პროექტის ვებ-გვერდი, სადაც იხილავთ ინფორმაციას პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ.

ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია

აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები.

•

### საკონკურსო განაცხადი

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ევროკავშირის გრანტით დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობი პროექტის“ ფარგლებში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით ექიმებისა და ექთნების მოდულარული ტრენინგის კურსების ორგანიზება და ჩატარების უზრუნველყოფისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

### ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი "24 საათი", 12 სექტემბერი, 2008  
ან  
<http://www.civilin.org/welfare>

2. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ევროკავშირის გრანტით დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობი პროექტის“ ფარგლებში პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის სამედიცინო პერსონალის ოჯახის ექიმებად და ზოგადი პრაქტიკის ექთნებად გადამზადებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

### ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი "24 საათი", 12 სექტემბერი, 2008  
ან  
<http://www.civilin.org/welfare>



ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია.

ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების/კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც

**საკონკურსო განაცხადი**

1. სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ევროკავშირის გრანტით დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშეწყობი პროექტის“ ფარგლებში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებსა და პროტოკოლებში ტრენინგის კურსების ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველყოფისათვის და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ინფორმაცია იხილეთ**

გაზეთი "24 საათი", 12 სექტემბერი, 2008  
ან

<http://www.civilin.org/welfare>

2. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს (კავშირებს, ფონდებს, სათემო ორგანიზაციებს, კოალიციებსა და მედია საშუალებებს) „ღია კარის“ საგრანტო პროგრამაში წარმოადგინონ პროექტები, რომლებიც მიმართული იქნება სამოქალაქო სექტორის მონაწილეობაზე საომარი მოქმედებების შედეგად წარმოქმნილი სიძნელეების ეფექტურად დაძლევაში. ფონდის მიერ საგრანტო განაცხადების შერჩევისას პრიორიტეტი ეძლევა გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულ პროექტებს.

**ინფორმაცია იხილეთ**

<http://www.epfound.ge>

ან

<http://www.civilin.org/welfare>

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მის: თბილისი, 0160, პეკინის ქ. №30) სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2008 წლის ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ორეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში

მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის მეთოდოლოგიის და ადმინისტრირების სქემის დახვეწის მიზნით ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე.

**ინფორმაცია იხილეთ**

გაზეთი "24 საათი", 22 სექტემბერი, 2008  
ან

<http://www.civilin.org/welfare>

•

თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა:

[welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ